

კავკასიის საცენზურო კომიტეტის უმჯობესებული საქმიანობა

ისტორიული და ეროვნულ-პოლიტიკური ხასიათის წერილების აკრძალვა

დავით მაღაზონია,

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის
სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის დოცენტი.

ქართველი სამოციანელები საქართველოს უპირველეს პრობლემად თვლიდნენ დამოუკიდებლობის მოპოვებასა და დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ამ ოცნების განხორციელებისათვის საჭიროდ მიიჩნდათ ხალხში ეროვნული თვითშეგნების გაღვივება. მისი განმსჭვალვა პატრიოტიზმის კანონიერი ეროვნული სიამაყის გრძობით. ასეთ უაღრესად საჭირო და პასუხისმგებ საქმეში თვალსაჩინო როლი უნდა შეესრულებინა ჩვენი ერის წარსულის, სამშობლოს დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობისათვის თავდადებულ წინაპართა გმირული საქმიანობის ცოდნას. ამაში სამოციანელები ყველაზე დიდ წინააღმდეგობას, რა თქმა უნდა, ხვდებოდნენ ხელისუფლების მხრიდან, რომლის ინტერესებს ერთგულად დარაჯობდა ცენზურა.

კავკასიის საცენზურო კომიტეტი გულდასმით ასრულებდა შემდგომი ინსტანციების (უმაღლესი სენატი, ბეჭდვითი სიტყვის მთავარი სამმართველო, კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაცია) გადაწყვეტილებებს. მკაცრი კონტროლი აქონდა დაწესებული პრესაზე, უცერემონიოდ კრძალავდა გამოცემულ ლიტერატურას /არახაიმედობის მოტივით/, "აბატიმრებდა" ჯურნალ-გაზეთებს, ხურავდა სტამბებს, ახორციელებდა მკაცრ კონტროლს "შემწეულ პირთა" პირად სარგებლობაში არსებულ ლიტერატურაზე და ა. შ.

საინტერესოდ გვეჩვენება დადგენილება-რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც საცენზურო კომიტეტს ადგილობრივი ხალხებისადმი დიფერენცირებული მიდგომა უნდა შეემუშავებინა, რადგან რეგიონში განვითარების /და შესაბამისად-მოთხოვნების/ მიხედვით არაერთგვაროვანი მოსახლეობა ცხოვრობდა. მეტი შესლუდვა უნდა დაწესებოდა იმ ხალხების ლიტერატურულსა და პერიოდულ გამოცემებს, რომლებშიც უფრო იგრძნობოდა პოლიტიკური სატიკვარი.

საჭირო გახდა საცენზურო კომიტეტის საქმიანობაში სასულიერო უწყების ჩართვაც—საეკლესიო ხელისუფლებისადმი კრიტიკულმა წერილებმა საეგზარქოსოს შემწოთება გამოიწვია. ცენზურისადმი ადრესნი ვკითხულობთ, რომ გაზეთებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები გამოხსნულად ახდენდნენ უმაღლეს სამღვდელს პირთა დისკრედიტაციას. მით უფრო შემაშფოთებელი იყო ხელისუფლებისათვის "ცილისმწამებლური" წერილების ეროვნული მიმართულება. მრავლისმოქმედი საეგზარქოსოს შენიშვნა: "ბევრს შეიძლება შეექმნეს შთაბეჭდილება, რომ თვით ხელისუფლება თანაუგრძნობს ცნობილი ქართული პარტიის სეპარატისტულ მისწრაფებებს".

ასეთი "არასასურველი" პრეცედენტების გამოსარიცხად საეგზარქოსო გამოთქვამდა მზადყოფნას—მჭიდროდ ეთანამშრომლა ცენზურასთან. მეტი სიფრთხილისათვის იგი შესაბამისი შინაარსის წერილების გამოქვეყნების უფლებას ამიერიდან გასცემდა სასულიერო უწყების დადებითი დასკვნების საფუძველზე.

შეუვალი იყო ცენზურის პოზიცია იმ გამოცემათა მიმართ, რომლებიც არღვევდნენ განსასვლერულ კანონებს, უგულვებლყოფდნენ თავისუფალი აზრის შემსლუდველ გადაწყვეტილებებს და დიდი რისკის ფასად ცდილობდნენ შეუნიღბავად გადმოეცათ საკუთარი პოზიციები.

ცენზურისადმი ასეთი "დაუმორჩილებლობის" არცათე იშვიათ შემთხვევებს ვაწყდებით მთელ რიგ რედაქტორთა მხრიდან.

მაგალითად, საცენზურო კომიტეტის საანგარიშო მოხსენებიდან ცხადი ხდება, რომ გას. "ობზორში" გამოქვეყნებულა ორი აკრძალული წერილი /"წარსული წელიწადი" და "კონსერვატორის სიტყვა"/. რომლებიც შეიცავდნენ ხელისუფლებისა და მისი საშინაო პოლიტიკის გამოხსნას. საცენზურო კომიტეტის დასკვნაში გაზეთის რედაქტორი ნ. ნიკოლაძე დადანაშაულებულია თვითნებობაში, კანონდარღვევაში, რომელსაც სტამბის მფლობელ ს. მელაქოვიან ერთად პასუხისმგებლობა უნდა დაეისრებოდა. მკაცრი მეთვალყურეობის მიუხედავად, გაზეთის რედაქცია კვლავაც ახერხებდა დაწესებული სტატიების გაპარებას ("სოფი რამ სოფი რამის შესახებ", "კორესპონდენცია ქარსიდან", "სტავროპოლური წერილები", "წარსული წერილები" /, რომლებშიც, ცენზურის დასკვნით, თვალში საცემი იყო ხელისუფლების მკაცრი, მოურიდებელი კრიტიკა, არსებული ვითარების მუქ ფერებში ხედვა).

ანალოგიური დარღვევებისათვის კომიტეტი ხისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აკისრებდა გაზეთების—"დროების", "ივერიის", "სახოფლო გაზეთის", "კავკასის" და ა. შ. რედაქტორებს.

გამომცემლობებზე ზედამხედველობის გამკაცრებას ემსახურებოდა საცენზურო კომიტეტის დადგენილება, დაბეჭდილი ლიტერატურის სახიგანალო პირის შესწავლასთან დაკავშირებით. ხოლო დარღვევითა აღმოჩენის შემთხვევაში გათვალისწინებული იყო თვით სტამბის დახურვა.

კონფისკაციას ექვემდებარებოდა კერძო მფლობელობაში არსებული არაკეთილსამიჯლო წიგნებიც. ეანდარმერიის განცხადებებიდან ვიგებთ, რომ ნ. ნიკოლაძისათვის ქუთაისში ჩამოურთმევითა ლითონგრაფიული საბეჭდო დახე და ორი ფილოსოფიური, სოციალური შინაარსის წიგნი /ძირითადად უცხოური/. ეანდარმერიის განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია სასოგადოება "უღლის" ოქმებისათვის, რომლებიც შესახსრავლად თბილისის საცენზურო კომიტეტისათვის გადმოუგზავნიათ.

მკაცრი კონტროლი უნდა დაწესებულიყო უცხოეთიდან შემოტანილ ლიტერატურაზე. შემოწმებას გადიოდა თვით მუსიკალური ნაწარმოებებიც, რომლებიც მხოლოდ დადებითი დასკვნის შემთხვევაში დაუბრუნდებოდათ მფლობელებს. თბილისის ფოსტის სამმართველო ამიერკავკასიის საბაჟო უწყებიდან მიღებულ ყოველგვარ ბეჭდვითს /ასევე ხელნაწერ/ მასალას წინასწარი შესწავლისათვის უგზავნიდა საცენზურო კომიტეტს.

ასეთივე ვალდებულება დაეკისრათ ამიერკავკასიის სასაწყობო საბაჟოსა და ფოთის საკარანტინო-საბაჟო უწყებას.

ცენზურის აკრძალულ მასალებში ხშირია ისტორიული ხასიათის დოკუმენტები. ასეთია წერილი /"ივერია". 1888, 9 მარტი/, რომელშიც მდიდარი კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციულ გარემოს მნიშვნელობა ახსნილი ეროვნული თვითარსებობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის როლს პროცესში: "დედამიწის ზურგზე დღესაც იპოვიოთ ისეთს ერებს, რომლებსაც დაუცავთ თავიანთი განსაკუთრებული ხასიათი და თვისება. ეს ერნი უძველესნი არიან. მათ განსაკუთრებულის ცხოვრებით უცხოვრიათ და ამიტომაც დიდს წინააღმდეგობას უწყვენ რომელსამე მოპირდაპირე ძალას". /ეს სტრიქონები ცენზურის მიერ საგანგებოდ არის გადაშლილი, როგორც განსაკუთრებულად მიუღებელი აზრის მქონე/. გახ. "დროებიდან" ამოღებულ წერილებში "საქართველოს მეფეთა გვირგვინის კურთხევა" /დ. ჯანაშვილი/ ცხადად არის წარმოჩენილი ჩვენი ისტორიის დიდებულ ეპოქათა სურათები. ავტორი შეახსენებს მკითხველს, რომ "ამ 83 წლამდე საქართველოს ხალხსაც ჰყავდა თავისი მეფეები". ამ მასალის გამოქვეყნება, რომელიც მიმსიდეველად გადმოგვცემდა ჩვენი ისტორიის საყურადღებო მომენტებს, ცენზურას სასურველად არ ჩაუთვლია.

ამვე მოტივით დაუწუნიათ დ. ჯანაშვილის წერილი "ისტორიული კოკორი" ("ნობათი"). /მასში დახურათებულია XI-XII საუკუნეებში ქართული სამეფოს სიძლიერე, დაწინაურებული ყოფა და საერთაშორისო მდგომარეობა და ე. მირიანაშვილის ფელეტონი "ახალციხის ბეკიდრნი კათოლიკენი" /"ივერია"/ მუსხეთის დაწინაურებული კულტურულ-ისტორიული ყოფის ჩვენებით. ცენზურისათვის მიუღებელი იყო პუბლიკაცია, რომელიც ევროპის კულტურულ-პოლიტიკური სამყაროსადმი ქართველი ხალხის სწრაფვას ცხადყოფდა.

საქართველოს ეკლესიის მრავალმხრივ მნიშვნელობას შეახსენებს მკითხველს გახ. "ივერიიდან" /1893, 8 XII/ ამოღებული სტატია "თფილისი, 8 დეკემბერი". ასეთივე შინაარსის იყო ილ. ჭიჭინაძისა და ალ. ფრონელის პუბლიკაციები. ამიტომაც მოჰყვა ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას, მის რუსიფიკაციას ქართველ პატრიოტთა მძაფრი წინააღმდეგობა, რაც მღვდელმთავრების-გაენათელისა და ქუთათელის ცნობილ მოქმედებაშიც თვალნათლივ გამოვლინდა /"ივერია", 1888, 5 IX/.

ჩვენი ისტორიის ავტოკეფალია მონაქვეთს /XVIII საუკუნის მიწურულს/ ესება გ. ხიმშელის ლექსი "მოგონება ირაკლი მეფისა" /"კვალი". 1895, 5 VI/. რომელიც ვეახსენებს ქვეყნის ურთულეს მდგომარეობას და სახელოვანი მეფის გამირულ ბრძოლებს, და გ. წერეთლის წერილი "სუპირ გამოცემა" /"კვალი", 1895, 4 X/. მასში აღწერილია სოლომონ ლიონიძის და აღლომატიური მოღვაწეობის საინტერესო მომენტები-ვეცნობით მის ჭეშმარიტად დრმა ეროვნულ პოზიციას, რწმენას, რომ საქართველო კვლავაც შეძლებდა დამოუკიდებელ არსებობას.

რუსული მმართველობის შეფასებისას სტ. ტრულაშვილი /"წერილმანი შენიშვნები", "იმედი", 1882, 4 III/ აქცენტს აკეთებს ეროვნული კულტურის, ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალ-ადმინისტრაციული სისტემის განვითარების შემაფერხებელ გარემოებაზე. გახ. "ივერიის" ფელეტონში კი /1889, 10 VII/ ყურადღება ეროვნული ტრადიციების ველურ ნგრევაზე გამახვილებული.

ცენზურა უკიდურესად ზღუდავდა ისტორიული ხასიათის მხატვრული ნაწარმოებების გამოქვეყნებასაც, რადგან მათში წარსულის განცდა, მკითხველისათვის მისი ნათელი მხარეების შესხენება და ამ გზით არსებულ უბადრუკობაზე ყურადღების გამახვილება ხერხდებოდა. ამ მოტივით აკრძალული იქნა ი. ჭავჭავაძის ლექსების "არაგვისა" და "ბახალეთის ტბის" პუბლიკაცია. ასევე დაუწუნია ცენზურას დ. მეგრელისა და ა. წერეთლის ნაწარმოებები. მსგავსი მოსაზრებებით არის ამოღებული გახ. "კავკასიიდან" ლექსი "არაგვი", თ. რაზიკაშვილის "სიმღერა", "არაგვს" და ა. შ.

ცენზურა კრძალავდა ჩვენი წარსულის გამკალებულთა ტენდენციურობის მამხილებელ პუბლიკაციებსაც. ასეთთა რიგს განეკუთვნება გახ. "ივერიიდან" ამოღებული წერილი "სახელდახელო" /1888, 3 III/. მასში განმარტებულია, რომ ჩვენი წარსულის განზრახ დამცირების არცთუ იშვიათი შემთხვევები ცარიზმის იდეოლოგთა ინტერესებს ემსახურებოდა: "იმ განზრახვით უნდათ აგადებინონ ხელი ისტორიაზე, რომ უფრო დაემშვიდყო, დაეწინარდეთ და მალე შეეურთგდეთ იმ აზრს, რომ სოფელი ცვალებადი რამ ყოფილა!"

გახ. "ივერიის" მორიგ დაწუნებულ წერილში "კავკასის" პუბლიცისტთა ჩვენი ისტორიის განმაქიქებელი ტონია გაკრიტიკებული: "ამ გამრმა ბრძანა, რომ ვახუშტისა და ვახტანგისა ნერა გწამო რა, დარწმუნებული იყავით, რომ მეთერთმეტე საუკუნემდე ქართველების სინხილა და ჭაჭანებაც კი არხად იყო. ქართველები ჯერ მაშინაც ბარბაროსები იყვნენ და არც ახლა არიან განვითარებულები!"

დიდ წინააღმდეგობას უწყდა ხელისუფლება ისტორიული ცოდნის გავრცელებას სასოგადოებაში. განსაკუთრებით აფრთხობდა წარსულის ჭეშმარიტად დიდი ეროვნულ-აღმზრდევლობითი მნიშვნელობა. ამიტომ დევნიდა მას სასწავლებლებიდან, წერილებს კი, რომლებიც ისტორიისადმი უგუნურ დამოკიდებულებას ამხელდა. ცენზურა დღის ხინათლეს არასოდეს აღირსებდა. "დროებიდან" /1885, 25 IV/ ამოღებული შენიშვნა მკითხველს შეახსენებს, რომ ასეთი ფაქტს: "აქაურის საქალაქო სასწავლებლის მეორე კლასში მასწავლებელს კ-ქს უნდა გაეცნო

ბავშვებისათვის საქართველოსა და რუსეთში ქრისტიანობის მცნებით განათლების მოკლე ისტორია. სწავლების გონივრული მეთოდისამებრ მასწავლებელმა ჯერ მეთხე ხაუკენეში ქართველთა წმინდა ნინოსაგან განათლებაზე ილაპარაკა, მერე-მცხრე ხაუკენეში რუსების წმინდა კირილე და მეთოდისაგან განათლებაზე თვით სახელგანთქნილი ბულიობაში ვერაფერს ხაუკეს და არასასიამოვნოს ვერ იპოვნია ამ ვაკეითელში, მაგრამ რაც ბულიობაშებს არ შეუძლიათ, იგი ძალუის წყნს ტაშკენტელ დერვიშს. "როგორ გაბედა ქართველმა მასწავლებელმა ჯერ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება გაეცნო მოწაფეთათვის და მერე კი რუსეთშიო? ცხადია, რომ ეს მან მოიმოქმედა პოლიტიკური განზრახვით, ვითომ რაო და ქრისტიანობის მიღებაში ქართველებს უპირატესობა აქვთ რუსებზეო.— არა ეს არ შეიძლება რუსეთის პატრიოტმა მოთმინოს. მე ახლავე წავალ თბილისში და ქუთაისში და ამ ქმეხე მთავრობას მოვახსენებ, რომ შეუძლებელია ასეთი ბორტგანზრახვლობა დაუხჯვლად დარჩეს."⁶⁶

ეროვნულ-ისტორიული ნაბილიწმის ნიმუშის—გ. მუხრანსკის ბროშურის გამოქვეყნებას ქართველი საზოგადოების მხრიდან მკვეთრი კრიტიკული გამოხმაურება მოჰყვა. მათგან ცენზურას განსაკუთრებით საშიში აჩრების შემცველად მიუხედავად, ხ. ჭიჭინაძის წერილი "ბურჟუაზიული ფილოსოფია ანუ დიდი ტომებისაგან პატარა ტომების გადაყლაპვა", სადაც ავტორი მუხრანსკის ახრის რეაქციულობას ასაბუთებდა და ეს ხინამდილეში იყო ხელისუფლების პოზიციის გამოამჟღავნებაც.

ასეთივე სამართლიანი კრიტიკა მოჰყვა გ. კალანდარიშვილის ნაშრომის "ბატონყმობა საქართველოში" გამოხვლას. მასში წამოყენებული დაუსაბუთებელი დებულების საპირისპიროდ ნ. ურბნული /ხინანიშვილი/ ცენზურის მიერ ამოღებულ წერილში ამტკიცებს ქართული სამართლებრივი კულტურისა და ისტორიულად წამოყალიბებული სოციალ-პოლიტიკური ორგანიზაციის პროგრესულობას. "მაშინდელ კანონმდებლობის მოძრაობას, /XVIII ხაუკუნის დასაწყისში, -დ. მ/, -მიმართულებით განკარგულებებს რომ დააკვირდეთ, უფრო ცხადად დაინახავთ, რომ წყნი პოლიტიკური ცხოვრება, შინაგანი საქმეების განწყობილება უახლოვდება ევროპულ წესებს. ამ მოვლენას შეხედებით ცხოვრების ყველა სფეროში"⁶⁷.

ქართველი საზოგადოების სამართლიან გულისწყრომას იწვევდა ხელისუფლების მხრიდან ისტორიული და საეკლესიო ხიფათების დატაცების ფაქტები. სწორედ ასეთი სამარცხინო შემთხვევების კრიტიკას იძლევა გ. წერეთელი აკრძალულ სტატიაში "გრაფინია უვაროვას წერილის გამო."

ამ მხრივ უდავოდ საინტერესოა გაზ. "კავკასიანი" /1882, 23 VI/ ამოღებული წერილის "დავიწყებული კუთხის ცნობები თიანეთის მახრიდან" შინაარსი. იგი ამხელს ხელისუფლებისა და სასულიერო მმართველობის უგუნურ პოლიტიკას—ძალდატანებით აღმოეფხვრათ მოიეღათ კულტურულ-ტრადიციული გარემო. ასეთი პრაქტიკა ხომ ისტორიული ნაშთების განადგურებას, წარსულის მრავალი საინტერესო მხარის დავიწყებასაც უწყობდა ხელს: "თემების სისხლის სამართალსა და სამოქალაქო ურთიერთობებს არეგულირებენ არა მათი არჩეული წევრები, არამედ სულისკვეთებითა და ერთ მათთვის უცხო სასამართლო. რელიგიური რწმენის, განსაკუთრებით კი მასთან დაკავშირებული ადათების გამოვლენას ხელს უშლის გარედან თავსმოხვეული სამღვდელთა, რომელიც, რა თქმა უნდა, უძღურია სიტყვებითა და ქადაგებით აღმოეფხვრას ცრუმორწმუნეობა და ამიტომ მიმართავს პოლიტიკურ ფორმებს".

ცენზურა ქვინააღმდეგებოდა ხალხში ისტორიული ცოდნის გავრცელებას, ვერ ეგუებოდა სამშობლოს წარსულით საზოგადოების დაინტერესების ზრდას. სწორედ ამ კონტექსტიდან გამომდინარე უნდა დაეწუნებინა მას გაზ. "ნოვოე ობოზრენიეს" წერილი "ქალაქებსა და სოფლებში", რომელშიც დ. ბაქრაძის გარდაცვალებით გამოწვეული სახალხო გლოვია აღწერილი, რაც ისტორიისადმი ხალხის საყოველთაო ინტერესზე მეტყველებდა.

წყენი წარსულის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად ა. წერეთელი. მისი განზრახვის გაცხადებას—გამოეცა წიგნ-კრებული წყენი დიტურატურისა და ისტორიის ჯერ გაუშუქებულ საკითხებზე, ცენზურის ამკრძალველი გადაწყვეტილება მოჰყვა.

ცენზურა უპირისპირდებოდა განმათავისუფლებელ აზრს. კრძალავდა ხელისუფლების უმსგავსი პოლიტიკის მახინილებელ პუბლიცაციათა გამოქვეყნებას. სხვადასხვა გახეთიდან ამოღებულ წერილებში გადახასუვლია ცარიშმის ასიმილაციური პოლიტიკის მახინილებელი სტრიქონები.

გაზ. "კავკასიის" ცენზურის მიერ უარყოფილ კორესპონდენციაში—"პრესის მიმოხილვა" /1883, 8 V/ ვაკრიტიკებულია 80-იანი წლების რეაქცია, რომელიც მიზნად ისახავდა მიმდინარე რეფორმების შეზღუდვას, ტირანული მმართველობის განმტკიცებას, პროგრესული ახრის ჩახშობას: "მაშ, ასე, წყენ ეხვედებით, რომ გახულ წელს რეაქცია აწარმოებდა დაუღალავ ომს აღუქსანდრე II-ის მიერ გარდაქმნილი სახელმწიფოებრივი წყობისა და საზოგადოების წინააღმდეგ, მაგრამ არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს სახელმწიფოსა და საზოგადოების პროგრესული განვითარების ბოლომდე შეწყობა".

რუსული მმართველობის კრიტიკა—ხედაცემულ მოხვედითა თავგასულობა, ქვეყნის ხელისუფლების რეაქციული კურსით წაქეზებული ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკა გადმოცემულია სტ. ჭავჭავაძის ფელეტონში "აღუქსანდრე", ივ. ჯაჯანაშვილის ლექსში "განსაცდელი", ნ. ნიკოლაძის სტატიაში "სიგზაგი" და სხვა დაწუნებულ მასალებში.

რუსიფიკატორთა გეგმებში შედიოდა საქართველოს კუთხეთა განცალკევება, მათ შორის უნდობლობის გაღვივება, რასაც ქართველი ხალხის დაქსაქსვა უნდა მოჰყოლოდა. ცარიშმის მზაკერული, გამთიშველი პოლიტიკა ცენზურის მიერ აკრძალულ არაერთ წერილშია გამოამჟღავნებული.

ქართველი საზოგადოების საფუძვლიან შემფთობებას იწვევდა კოლონიზტების ჩამოხახლება მხარის ასიმილაციის მიზნით. ხელისუფლების ვერაგი ჩანაფიქრის გამოამჟღავნებას ისახავდა გაზ. "ტიფლისკი ლისტოკიდან" ამოღებული სტატია "წერილი რედაქციას", "ნოვოე ობოზრენიეს" კორესპონდენცია და "ცნობის ფურცლის" წერილი "მცირე შენიშვნა"⁶⁸.

ქართველი საზოგადოება მწკავედ განიცდიდა სასწავლო დაწესებულებებიდან მშობლიური ენის განდევნას. აბსოლუტურად სწორი ეროვნული და მეცნიერული /კვლავთაგოიური/ არგუმენტების მოხმობით ასაბუთებდა მშობლიურ ენაზე სწავლის აუცილებლობას, ვმობდა ხელისუფლების რეაქციულ საგანმანათლებლო პოლიტიკას, რომელიც ხინამდილეში ადგილობრივი ხალხების გარეხებას ემსახურებოდა (ამ სახის მსჯ. კლობებს ეხვედით ცენზურის მიერ აკრძალულ არაერთ წერილში)⁶⁹.

მსაკვრელი რეჟიმის გარდაუვალი შედეგების რამდენადმე შერბილებას ქართველი ინტელიგენცია უკავშირებდა ჩვენში ერობათა დაქსეუბას, რაც მართვის ეროვნული ინსტიტუტების შექმნასაც უწყობდა ხელს. ამ საკითხზე ამახვილებდნენ ყურადღებას "მოამბის", "იმედის", "კავკასიისა" და სხვა გაზეთების პუბლიცისტები, რომელთა ნაასრუემა ასევე ვერ იხილა დღის სინათლე.

მძიმე ვითარების მიუხედავად, ქართველი ხალხი არ აკარგავდა ხსნის იმედს. უკეთესი მომავლის რწმენაა გამოხატული ცენზურისაგან დაწუნებულ არაერთ მხატვრულ ნაწარმოებში: იგაეში-“დათვი და მელა”, ლექსებში “ნანა”, “ამირანი”, “სიმღერა”, “გმირი დედა”, “გა'საფხული” და ა. შ. ცენზურა მკაცრად ზღუდავდა ქართული ხალხური სიმღერების რეპერტუარსაც. “ცისკრიდან”/1887/ ამოღებულ განცხადებაში გადაშლილია ის სიმღერები /აღნიშვილის რეპერტუარიდან/, რომლებიც, ხელისუფლების ასრით, მსმენელში ეროვნულ-ისტორიულ განცდას გამოიწვევდნენ /ესენია: “ქართველო, ხელი ხმალს იკარ”, “არაგვი”, “დღეს მერცხალი შემოფრინდა”, “აღსდექ გმირთ-გმირო”, “მუშური მარში” /

ქართველი პატრიოტები განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებას სავსებით სწორად უკავშირებდნენ განათლებისა და მწერლობის /მეცნიერებასთან და კულტურასთან ერთად/ დაწინაურებას /“დროება”, “ნოვოეობოზრენიე”/.

სწორი და ოპტიმალურია აზრი, რომ თანამედროვე ცივილიზაცია, კაცობრიობის განვითარების შემდგომი პერსპექტივები ერთა თავისუფლებას გულისხმობს. ასეთი პოზიციის გაცხადებას, ბუნებრივია, ცენზურა წინ აღუდგებოდა. ამ სახის მსჯელობას ვაწყდებით არაერთ აკრძალულ წერილში: “შინაური მიმოხილვა”, (“ივერია”, 1883), “ახლანდელი პოლიტიკის ვითარება” (“კვალი”, 1896), “თბილისი, 10 სექტემბერი”. ვინც ევროპის ცხოვრებას დაკვირვებია, - ვკითხულობთ ამ წერილში, - ის უეჭველად დარწმუნდებოდა, რომ მცირე ხალხთა აღორძინება უეჭველია, თუმც მათ უნდა განეღონ ეკლიანი გზა, ხანამ სასტიკ ბრძოლას დააბოლოვებდნენ და გაიმარჯვებდნენ” /“დროება”, 1883/23.

ტოტალური შემსღუფაველი პოლიტიკის მიუხედავად თვალსაჩინო მიღვაწეები სერიოზული რისკის ფასად მაინც ახერხებდნენ გადაეცემათ პერსონალური გამოცემები ეროვნული პრობლემათიკის გაშუქების, განმათავისუფლებელი იდეოლოგიის ქადაგების /პოპულარიზაციის/ მიღავრ საშუალებად.

წყაროები და ლიტერატურა

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 480, აღწერა I, საქმე 354, ფურცელი 49-51.
2. იქვე, აღწ. № 3, საქ. №108, ფურ. 1.
3. იქვე, აღწ. № 3, საქ. №108, ფურ. 3.
4. იქვე, აღწ. №1, საქ. №362, ფურ. 7.
5. იქვე, აღწ. № 1, საქ. №13.
6. იქვე, აღწ. № 1, საქ. №142, ფურ. 142-144.
7. იქვე, აღწ. №1, საქ. №11, ფურ. 81-87, 90-95, 109-120.
8. იქვე, აღწ. №1, საქ. №862, ფურ. 22.
9. იქვე, აღწ. №1 საქ. №541, ფურ. 35.
10. იქვე, აღწ. №1 საქ. №660, ფურ. 2.
11. იქვე, აღწ. №1 საქ. №1190 ფურ. 54.
12. იქვე, აღწ. №1 საქ. №1278 ფურ.8-10.
13. იქვე, აღწ. №1 საქ. №992 ფურ.31.
14. იქვე, აღწ. №1 საქ. №868 ფურ.4.
15. იქვე, აღწ. №1 საქ. №868 ფურ.7.
16. იქვე, აღწ. №1 საქ. №651 ფურ. 46.
17. იქვე, აღწ. №1 საქ. №541 ფურ.163.
18. იქვე, აღწ. №1 საქ. №497 ფურ.63.
19. იქვე, აღწ. №1 საქ. №492 ფურ.106.
20. იქვე, აღწ. №1 საქ. №1235 ფურ.7.
21. იქვე, აღწ. №1 საქ. №1120 ფურ.201.
22. იქვე, აღწ. №1 საქ. №541 ფურ.1.
23. იქვე, აღწ. №1, საქ. №541 ფურ.81-92.ს

